RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ეკონომიკური სანქციების სამხედრო ეფექტი რუსეთისთვის

დავით შატაკიშვილი

184

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით შატაკიშვილი

ეკონომიკური სანქციების სამხედრო ეფექტი რუსეთისთვის

184

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

შესავალი

რუსეთის სამხედრო ინდუსტრია ამ ქვეყნის ეროვნული ძალაუფლების ფუნდამენტური ფაქტორია. მის თავდაცვის სექტორში მოქმედი საწარმოები დიდწილად სახელმწიფო საკუთრებაშია. შესაბამისად, რუსეთის მსხვილი სამხედრო კორპორაციები და მათი შვილობილი კომპანიები მოქმედებენ არა შიდა კონკურენტული ბაზრის პრინციპებით, რაც ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია, არამედ მათი მთავარი მიზანია მოსკოვის პოლიტიკური ინტერესების გატარება და რეჟიმის მდგრადობის უზრუნველყოფა. იმ ფონზე, როდესაც, სამხედრო შესაძლებლობებთან ერთად, ენერგეტიკული რესურსების სახით მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს ფლობს, ფაქტია, რომ რუსეთი ამ ორი ძლიერი იარაღის წყალობით ახერხებს არა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გატარებას, არამედ აშანტაჟებს მეზობელ ქვეყნებს და ითვისებს მათ ტერიტორიებს საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების დასაკმაყოფილებლად. თავდაცვის ინ-დუსტრიის პასუხისმგებლობა მოსკოვის მმართველობის ამჟამინდელ მოდელში არის სწორედ ის, რაზეც თავად რუსეთის ხელისუფლებამ დააფუძნა საკუთარი ლეგიტიმაცია - სამხედრო მოდერნიზაცია, რუსეთის ძლიერებისა და სიდიადის აღდგენა. ამის ერთ-ერთი მახინჯი გამოვლინებაა უკრაინაში სამხედრო აგრესია, რასაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

დასავლეთის მიერ დაწესებული უპრეცედენტო მასშტაბის სანქციები, ცხადია, გავლენას მოახდენს მოსკოვის თავდაცვით შესაძლებლობებზე, კითხვაა მხოლოდ: როდის და რამდენად? რუსული სამხედრო წარმოება, ერთი მხრივ, ეხმარება ქვეყანას აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებაში, მეორე მხრივ, შეიარაღების ექსპორტი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა და, ამასთან ერთად, მას აძლევს მყიდველ სახელმწიფოებზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებას. უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის კრახს შესაძლოა არა მხოლოდ ამ უკანასკნელის ჰეგემონიური მიზნები შეეწიროს, არამედ რუსეთს სამხედრო შეიარაღების არსებული და პოტენციური მომხმარებლებიც დააკარგვინოს. ეჭვგარეშეა, რომ ომის შედეგად რუსეთს კოლოსალური სამხედრო დანაკარგები აქვს და თან ჩნდება კითხვები მისი იარაღისა და მძიმე ტექნიკის ხარისხთან დაკავშირებით. აქამდე არსებობდა კონსენსუსი, რომ რუსული შეიარა-ღება იყო დასავლური იარაღის უნარიანი და ხელმისაწვდომი ალტერნატივა, თუმცა ეს მოცემულობაც შესაძლოა ასევე ომს შეეწიროს.

სანქციების შედეგად რუსეთს შეექმნა არა მხოლოდ ფინანსური პრობ-ლემები, არამედ ტექნიკურიც. გარდა დასავლეთის ქვეყნებისა, აზიის წამყვანმა ტექნოლოგიურმა სახელმწიფოებმა რუსეთს შეუზღუდეს წვდომა სამხედრო წარმო-ებისთვის საჭირო კრიტიკულ კომპონენტებზე. არსებული შეზღუდვები ეხება ისეთ მოწინავე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა ნახევარგამტარები, სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა და დაშიფვრა, მიკროელექტრონიკა, საავიაციო სისტემები, ნავთობმომპოვებელი ტექნიკა და სხვა საწარმოო კომპო-ნენტები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებზე, აღდგენის პერსპექტივებსა და მომავალში მისი აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე.

რუსეთის სამხედრო დანახარჯები

მსოფლიოში ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება სახელმწიფოების მიერ თავდაცვაზე გაწეული ხარჯები. „სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ ბოლო წლიური მოხსენების თანახმად, 2020 წელს ამერიკამ 778 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა შეიარაღებაზე, რითაც იგი მსოფლიოში მოწინავე ქვეყანაა. მომდევნო ადგილებს ჩინეთი (252 მლრდ აშშ დოლარი), ინდოეთი (73 მლრდ აშშ დოლარი), რუსეთი (62 მლრდ აშშ დოლარი) და დიდი ბრიტანეთი (59 მლრდ აშშ დოლარი) ინაწილებენ (SIPRI, 2021). ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიდა შეთანხმების მიხედვით, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან საკუთარი სამხედრო ბიუჯეტები მშპ-ის 2%-მდე გაზარდონ. შედარებისთვის, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების სამხედრო დანახარჯები ასე გამოიყურება: გერმანია - 53 მლრდ აშშ დოლარი, საფრანგეთი - 52 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იტალია - 25 მლრდ აშშ დოლარი (SIPRI, 2021).

რუსეთის სამხედრო დანახარჯები ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. გრაფიკზე 1 წარმოდგენილია ბოლო 11 წლის განმავ-ლობაში რუსეთის მიერ გაწეული სამხედრო ხარჯების რაოდენობა და მათი წილი მშპ-ში. ამ პერიოდში რუსეთს ყველაზე დიდი დანახარჯი 2013 წელს ჰქონდა, რო-მელმაც 88 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 2014 წლის, ანუ ყირიმის ანექს-იის შემდეგ, მისი სამხედრო დანახარჯები მეტ-ნაკლებად შემცირდა და სტაბილური გახდა, რაც დაახლოებით 62-69 მილიარდი აშშ დოლარის დიაპაზონშია მოქცეული.

გრაფიკი 1.



წყარო: მსოფლიო ბანკი, დამუშავებულია ავტორის მიერ

რუსეთის სამხედრო ინდუსტრია 1300-მდე კომპანიისგან შედგება, სადაც დაახლოებით 2.5-3 მილიონი ადამიანია დასაქმებული. ამ კომპანიებიდან ყველაზე დიდია Rostec, რომელიც 2007 წელს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დააარსა. ორგანიზაცია მოიცავს 700-მდე საწარმოს, რომლებიც ერთად ქმნიან 14 ჰოლდინგურ კომპანიას. Rostec-ის წარმოებები მოიცავს რუსეთის ფედერაციის 60-მდე ადგილს და მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებენ საქონლის ექსპორტს. გაზრდილ ფინანსებს რუსეთის ხელისუფლება, ძირითადად, სამხედრო შეიარაღებისა და მძიმე ტექნიკის მოდერნიზებაზე ხარჯავს. გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინასთან მძიმე ომის შემდეგ რუსეთს კოლოსალური სამხედრო დანაკარგები აქვს, სავარაუდოა, რომ ამ კუთხით მომდევნო წლებში იგი საკუთარი დანაკარგების მარაგების შევსების მიზნით გაზრდის დაფინანსებას. თუმცა, მეორე მხრივ, მასობრივი ეკონომიკური სანქციებისა და დასავლურ ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომის პირობებში, საინტერესოა, რამდენად მოახერხებს ამას. მიმდინარე ეტაპზე, რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლების ერთადერთი მსხვილი წყარო ენერგეტიკული რესურსების ექსპორტია, რომლისგან მიღებული ფინანსებიც, ერთი მხრივ, ომის წარმოებაში იხარჯება, ხოლო მეორე მხრივ - ეროვნული ვალუტის დაცვასა და ინფლაციის დაბალი ტემპის შენარჩუნებაზე, რათა ჩანდეს, რომ ეკონომიკა ჩვეულ რეჟიმში მუშაობს, მაშინ, როდესაც ეს ასე არ არის.

სამხედრო წარმოება და დამოკიდებულება დასავლურ ტექნოლოგებზე

მსოფლიოში რუსეთი იარაღისა და მძიმე ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელი სახელმწიფოა. მის სამხედრო საწარმოო ნომენკლატურაში შედის საჰაერო თავდაცვის სისტემები (S-400, Tor-M1, Strela-10), ჯავშანტექნიკა (T-62, BTR, T-90S), ავიამოიერიშეები (Su-35s, MiG-35), სარაკეტო იარაღი (9M113, Kh-35, PJ-10), ძრავები და სხვადასხვა წარმოების მსუბუქი იარაღი. მისი ყველაზე ცნობილი პროდუქტია AK-47 ტიპის შაშხანა, ე.წ. „კალაშნიკოვი“. იგი 1940-იან წლებში შექმნა საბჭოთა არმიის გენერალმა მიხეილ კალაშნიკოვმა. ესაა იაფი, გამძლე და ადვილად გამოსაყენებელი ავტომატი, რომელსაც მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა მოიხმარს. მის აბრევიატურაში „AK“ ნიშნავს „ავტომატ კალაშნიკოვს“, ხოლო ნომერი „47“ - იარაღის შემუშავების წელს (Al Jazeera, 2022).

სამხედრო წარმოების მხრივ რუსეთი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დასავლურ ტექნოლოგიებსა და საწარმოო კომპონენტებზე. მათ შორისაა ნახევარგამტარები, მიკროელექტრონიკა, ჩიპები, ჩარხები და პროგრამული უზრუნველყოფა. დასავლეთის მხრიდან დაწესებული სანქციები გავლენას მოახდენს არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და მათი უცხოელი მყიდველებისთვის სამხედრო აღჭურვილობის წარმოებაზე, არამედ არსებული მომხმარებლებისთვის სათადარიგო ნაწილების, საბრძოლო მასალისა და განახლებული პაკეტების მიწოდებაზე. შედეგად, უცხოელმა მყიდველებმა შესაძლოა გადაწყვიტონ სამხედრო ტექნიკის უფრო სანდო წყაროებზე გადასვლა, თუმცა, ცხადია, ეს მარტივი პროცესი არაა და დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან. რუსეთში სამხედრო წარმოებაში არსებული ხელშესახები პრობლემების ნიშნები უკვე არსებობს. მა-

გალითად, რუსეთი იძულებული გახდა ჭურჭლის სარეცხი მანქანებიდან და მაცივრებიდან ნახევარგამტარები ამოეღო, რასაც მაღალტექნოლოგიური იარაღის საწარმოებლად გამოიყენებდა.

მიმდინარე წლის მარტის ბოლოს ამერიკის სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ფიზიკური პირებისა და ფიქტიური კომპანიების გლობალურ ქსელს. როგორც ჩანს, რუსეთი ცდილობდა სანქციების გვერდის ავლით მიეღო სამხედრო წარმოებისთვის აუცილებელი კომპონენტები. ამერიკული მხარის განცხადებით, ეს პირები ეხმარებოდნენ რუსეთს დასავლური წამყვანი ტექნოლოგიების ექსპორტზე მრავალმხრივი შეზღუდვებისგან თავის არიდებაში. გარდა ამისა, სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ოთხ ტექნოლოგიურ კომპანიას, რომლებიც რუსეთს აწვდიან მიკროელექტრონიკას, სანავიგაციო აღჭურვილობასა და სატელიტური გამოსახულების პროგრამულ უზრუნველყოფას. ერთ-ერთი მათგანია კომპანია Mikron, რომელიც რუსეთში ჩიპების უმსხვილესი მწარმოებელია. იგი პასუხისმგებელია რუსეთის შიდა გადახდების სისტემა MIR-ში გამოყენებული სადებეტო ბარათების ჩიპების დამზადებაზე (Wilkie, 2022). ეს სისტემა 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ დაწესებული სანქციების საპასუხოდ შეიქმნა.

შეერთებულმა შტატებმა ასევე სამიზნეში ამოიღო რუსეთის ეკონომიკის კიდევ სამი ინდუსტრიული სექტორი - საჰაერო, საზღვაო და ელექტრონიკის სფეროები, რადგან მათ აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვისა და შეიარაღებისთვის. გარდა ამისა, სექტორები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო კრემლის ომისთვის, იყო ფინანსური მომსახურება, ტექნოლოგიები და თავდაცვის მრეწველობა, რომლის წინააღმდეგაც დასავლეთმა უკვე მიიღო სანქციების შესაბამისი პაკეტი (Wilkie, 2022).

ამერიკული სანქციების ერთ-ერთი სამიზნე იყო „ტაქტიკური რაკეტების კორპორაცია“ (KTRV). ეს არის რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავდაცვის კონგლომერატი, რომელიც აწარმოებს ჰიპერბგერით იარაღსა და ტექნოლოგიას, რაც სარადარო სისტემებსა და სხვა მრავალფუნქციურ რაკეტებში აქტიურად გამოიყენება. მარტის ბოლოს ბაიდენის ადმინისტრაციამ, KTRV-ის გარდა, სანქციები დაუწესა ათეულობით რუსულ თავდაცვის კომპანიას, მათ შორის - „მაღალი სიზუსტის სისტემების კორპორაციას“, რომელიც აწარმოებს ჰაერი-მიწის რაკეტებს, როგორიცაა ისკანდერი, და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები. სანქციები ასევე შეეხო კომპანია „Techmash”-საც, რომელიც აწარმოებს მრავალი სახის სამხედრო-საბრძოლო მასალას, სარაკეტო სისტემებსა და უმართავ ბომბებს. აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა შემოიღო ექსპორტის კონტროლის ახალი შეზღუდვები, რომლებიც მიზნად ისახავს შეუჩეროს რუსეთს აშშ-ის წარმოების ტექნოლოგიის მიწოდება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო ტექნიკის დამზადების პროცესში, მაშინაც კი, თუ ამ ტექნოლოგიის მიწოდება მესამე ქვეყნების გავლით ხდება. ეს მოიცავს მიკროელექტრონიკას, ტელეკომუნიკაციებს, ინფორმაციული უსაფრთხოების აღჭურვილობას, სენსორებს, სანავიგაციო აღჭურვილობას, საავიაციო ელექტროტექნიკასა და სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილებს (OFAC, 2022).

დასავლეთის ღრმა რწმენით, სანქციებმა და ექსპორტის მკაცრმა კონტროლმა გავლენა მოახდინა რუსეთის თავდაცვის ინდუსტრიასა და მისი აღდგენის უნარზე, განსაკუთრებით, სამხედრო და ელექტრონული საწარმოო კომპონენტების მიმართულებით. არსებული მძიმე პრობლემებთან გასამკლავებლად მოსკოვმა შექმნა უწყებათაშორისი კომიტეტი, რათა გაერკვია, თუ როგორ მოიპოვონ მეტი სამხედრო ტექნიკა შიდა და თუ ე.წ. მეგობარი ქვეყნებისგან, მაგალითად, როგორიცაა ჩინეთი, რომელიც შესაძლოა მზად იყოს სანქციების გვერდის ავლით იმუშაოს მიკროელექტრონული პროცესორებითა და საბრძოლო მასალით რუსეთის უზრუნველსაყოფად, რაც ამ უკანასკნელისთვის ორი უდიდესი სამხედრო საჭიროებაა. ამასთან, უახლოეს მომავალში მწვავედ დადგება სამუშაო ძალის კვალიფიკაციის პრობლემა. ომის დაწყებიდან ქვეყანა 100 000-მდე IT და პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტმა დატოვა და მოსალოდნელია, რომ მათი რაოდენობა გაიზრდება. ეს, თავის მხრივ, რუსეთის ტექნოლოგიურ და სამხედრო განვითარებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს.

შედეგად, როგორც ჩანს, დასავლურმა სანქციებმა რუსეთი აიძულა „მტვერი გადაეწმინდა“ საბჭოთა თავდაცვითი სისტემებისა და შეიარაღებიდან. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საშუალებები არის ნაკლები სიზუსტის, საიმედოობის, შესაძლებლობებისა და, ამდენად, მოწინააღმდეგისთვის მარტივად შესამჩნევია, ფაქტია, რომ რუსეთს, მათი გამოყენების გარდა, ამ ეტაპზე სხვა გზა, უბრალოდ, არ აქვს (Detsch, 2022).

ჯერ კიდევ 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთის სამხედრო წარმოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთის მხრიდან დაწესებული სანქციები გახდა, რომელიც ასევე შეეხო სამხედრო-ტექნოლოგიურ ვაჭრობას. მოსკოვმა ამ ნაბიჯს უპასუხა, რომ იგი შიდა წარმოებას განავითარებდა და საკუთარ პროდუქციას გამოიყენებდა. თუმცა, 2019 წელს რუსმა მაღალჩინოსნებმა თავად აღიარეს, რომ ტექნოლოგიური ჩანაცვლება რუსეთის თავდაცვის ინდუსტრიისთვის რთული იყო (Karputhin, 2019). ამგვარად, 2019 წლისთვის რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში არსებული თავდაცვითი შეიარაღების მწარმოებელი კომპანიების ვალმა 10 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო რუსეთის მთლიანი სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის ფინანსურმა ვალდებულებამ 31 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი მსხვილი კომპანიების დავალიანებამ, თავის მხრივ, იმოქმედა მათ კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე, პროდუქტის დემონსტრირებისა და ტესტირების პროცესებზე (Banerjee, Tkach, 2022). ბოლო ათწლეულია, რაც რუსეთისთვის ტექნოლოგიური სუვერენიტეტის მიღწევა შეუქცევადი პრიორიტეტია, განსაკუთრებით, 2014 წლიდან, თუმცა ეს მისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია რუსული სტრატეგია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ავტორიტარული ძალაუფლების შენარჩუნებაზე და არა - ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების წახალისებაზე. მაშინდელი სანქციების შედეგად, რუსეთი იძულებული გახდა სხვადასხვა ქვეყნიდან განეხორციელებინა საჭირო საწარმოო კომპონენტების იმპორტი. შედეგად, 2014 წლიდან 2019 წლამდე რუსეთში

ნახევარგამტარული მოწყობილობების იმპორტი 60%-ით, ხოლო ინტეგრირებული სქემების იმპორტი 25%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ქვეყანამ მკვეთრად გაზარდა სხვადასხვა სახის ელექტრონული აღჭურვილობის, ტელეკომუნიკაციების, სათადარიგო ნაწილებისა და მონაცემთა შენახვის სისტემების შესყიდვები (Ringhof, 2022). ყირიმის ანექსიის საპასუხო სანქციებისგან განსხვავებით, დღეს შეზღუდვების სფერო გაცილებით უფრო ფართო და კომპლექსურია, შესაბამისად, რუსულ სამხედრო წარმოებაში უფრო მეტი გართულებაა მოსალოდნელი.

დასავლელი ლიდერები ამბობენ, რომ მათი დაწესებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს რუსეთის მიწოდების ჯაჭვების არევას, რაც შეაფერხებს და უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელს გახდის აგრესორის მხრიდან სამხედრო ტექნიკის შექმნის, აღდგენისა და მოდერნიზაციის პროცესს. დასავლეთის გადაწყვეტილებებს შეუერთდნენ ისეთი გლობალური ტექნოლოგიური მოთამაშეები აზიიდან, როგორებიც არიან სამხრეთი კორეა, იაპონია და ტაივანი. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუსეთი დიდწილად მოწყვეტილია გლობალური მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიისგან.

როდესაც რუსეთის სამხედრო და ტექნოლოგიური საწარმოო კომპონენტების ჩანაცვლებაზეა საუბარი, პირველი ალტერნატივა, რომელიც ამ დროს ახსენდებათ, ჩინეთია. თუმცა, ამ ეტაპზე ჩინეთს არ შეუძლია რუსეთის ბაზრის სრულად დაკმაყოფილება. ცხადია, ამას გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური რაციონალური საფუძველი უდევს. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს ბოლო წლებში შესამჩნევი პროგრესი აქვს, ჯერ კიდევ არის დარგები, სადაც ჩინური ტექნოლოგია მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც დასავლურ, ისე აზიის რიგი ქვეყნების წარმოებას. ეს განსაკუთრებით ეხება ნახევარგამტარებს. ექსპერტების აზრით, წამყვან ჩინურ კომპანიას SMIC რამდენიმე წელი სჭირდება, რომ ტექნოლოგიურად დაეწიოს ჩიპების ისეთ მოწინავე მწარმოებლებს, როგორებიც არიან სამხრეთკორეული Samsung-ი და ტაივანის TSMC-ი. მეორე მხრივ, რუსეთისთვის კრიტიკულ კომპონენტებში ზედმეტად დამოკიდებულება ჩინეთზე არამომგებიანი პოლიტიკური პოზიციაა მაშინ, როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა რეგიონული დომინაციისთვის. მესამეც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩინურმა კომპანიებმა გაიფუჭონ სავაჭრო-პარტნიორული ურთიერთობები დასავლეთის ბაზრებზე და საფრთხე შეუქმნან საკუთარ ინტერესებს მხოლოდ იმისთვის, რომ მათთვის შედარებით უმნიშვნელო რუსულ ბაზარზე აწარმოონ ბიზნესი (Ringhof, 2022).

სამხედრო ვაჭრობა

რუსეთი სამხედრო შეიარაღების ერთ-ერთი უმსხვილესი, რიგით მეორე ექსპორტიორი ქვეყანაა. ამ მხრივ იგი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება. იარაღის გლობალური გაყიდვების 19% მოდის რუსეთზე. 2016-2020 წლებში რუსეთმა მსოფლიოს 45 ქვეყანაში 28 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იარაღი გაყიდა. მისი ყველაზე მსხვილი მომხმარებელია ინდოეთი, რომლისგანაც ბოლო 5 წლის მანძილზე 6.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. მომდევნო ადგილებს ინაწილებენ ჩინეთი (5.1 მლრდ აშშ დოლარი), ალჟირი (4.2 მლრდ აშშ

დოლარი), ეგვიპტე (3.3 მლრდ აშშ დოლარი) და ვიეტნამი (1.7 მლრდ აშშ დოლარი). გარდა ამისა, რუსული ტექნიკის მყიდველებს შორის არიან როგორც აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ასევე სპარსეთის ყურისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები. 1990-2010 წლებში რუსეთმა გააფართოვა გაყიდვები, შეიძინა რა ახალი მომხმარებლები, როგორებიც არიან: ვენესუელა, პაკისტანი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და მიანმარი. რუსეთის სამხედრო-საექსპორტო პროდუქტი მოიცავს თვითმფრინავებს, ძრავებს, რაკეტებს, ჯავშანტექნიკას, საჰაერო თავდაცვის სისტემებსა და სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლ იარაღს (Al Jazeera, 2022).

გრაფიკზე 2 მოცემულია რუსეთის ექსპორტირებული შეიარაღებიდან მიღებული შემოსავალი. როგორც ჩანს, 2014 წლის დასავლურ სანქციებს ამ მხრივ რუსეთზე დიდი გავლენა არ მოუხდენია და, დანაკლისების მიუხედავად, იგი აქტიურად განაგრძობდა საკუთარი წარმოების სამხედრო აღჭურვილობის რეალიზაციას.

გრაფიკი 2.



წყარო: სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი, დამუშავებულია ავტორის მიერ.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, რუსეთი სამხედრო ტექნიკის გაყიდვებიდან ყოველწლიურად საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა, რაც დროთა განმავლობაში მისი ეკონომიკის მნიშვნელოვანი წყარო გახდა. აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის ომის თავის სასარგებლოდ დასრულება, პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, იქნებოდა გზავნილი მისი შეიარაღების მყიდველებისთვის, რომ მათი ტექნიკა წარმატებით ართმევს თავს რთულ სამხედრო დავალებებს, თუმცა ეს გზავნილი ახლა უკვე ბევრ კითხვას აჩენს.

რუსეთი მაღალტექნოლოგიური საქონლის იმპორტზე წლიურად, დაახლოებით, 19 მილიარდ დოლარს ხარჯავს. მისი შესყიდვების ყველაზე დიდი წილი, ანუ 45%, ევროკავშირზე მოდის, შემდგომ ადგილებს კი ინაწილებენ აშშ - 21%, ჩინეთი - 11% და გაერთიანებული სამეფო - 2%. რუსული იმპორტის ძირითადი კატეგორიებია საჰაერო კომპონენტები და საავიაციო სათადარიგო ნაწილები, რაც ჯამში, დაახლოებით, 6 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს და საინფორმაციო და საკომუნიკაციო აღჭურვილობა, რომელიც 4 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. ევროკავშირი ასევე არის ბიოტექნოლოგიის, ელექტრონიკის, სიცოცხლის მეცნიერებებისა და მაღალი ეფექტიანობის წარმოების საქონლის მთავარი მიმწოდებელი, რომელიც ერთობლივად რუსული სამხედრო იმპორტის ნახევარზე მეტს შეადგენს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, იგი იყო რუსეთში საჰაერო აღჭურვილობის მთავარი მიმწოდებელი. ეს ასევე მოიცავდა სამხედრო შვეულმფრენებს, თვითმფრინავებს და ტურბორეაქტიულ საფრენ აპარატებს, რაც, ჯამში, წლიურ 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს შეადგენდა. რუსეთს საჰაერო აღჭურვილობას აწვდის ასევე დიდი ბრიტანეთი. მისი მაღალტექნოლოგიური ექსპორტის ერთი მესამედი სწორედ რუსეთში მიდის, რაც ჯამურად 140 მილიონ აშშ დოლარს აღწევს (Grzegorczyk, Marcus, Poitiers, Weil, 2022).

გრაფიკი 3.



წყარო: Investigate Europe, დამუშავებულია ავტორის მიერ

სულ რაღაც ერთი წლის წინ რუსეთის ფედერაცია და მისი არმია ევროპული იარაღისა და სამხედრო ტექნიკის კარგი მომხმარებლები იყვნენ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მესამედზე მეტმა იარაღის ექსპორტი სწორედ რუსეთის ფედერაციაში განახორციელა. 2015-2020 წლებში ევროკავშირის წევრმა 10 ქვეყანამ 346 მილიონი ევროს ღირებულების იარაღი გაიტანა რუსეთში, როგორც მსუბუქი

შეიარაღება, ასევე ისეთი მძიმე ტექნიკა, როგორიცაა რაკეტები, სახმელეთო მანქანები, სამხედრო გემები და სხვა. სანქციების გამო მიწოდების ჯაჭვების დარღვევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს იარაღის გადაცემის უზარმაზარი შავი ბაზრის წარმოქმნას, რომლის შეცვლაც, საფიქრებელია, რთული იქნება უკრაინაში რუსეთის ომის დასრულების შემდეგაც.

ამ 6 წლის განმავლობაში რუსეთისთვის საფრანგეთი იარაღის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი იყო, რომელმაც ჯამში მას 152 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების შეიარაღება მიაწოდა, რაც ევროკავშირის ჯამური სამხედრო ექსპორტის 44%-ს შეადგენს. როგორც ჩანს, 2014 წლის დასავლურ სანქციებს იარაღის გაყიდვაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. საფრანგეთმა 2015 წელსვე რუსეთს 59 მილიონი ევროს ღირებულების იარაღი მიჰყიდა, ხოლო მომდევნო წლებში ეს რაოდენობა მცირდებოდა და ასე გამოიყურებოდა: 2016 წელს - 49 მილიონი ევრო, 2017 წელს - 36 მილიონი ევრო, 2018 წელს - 5.5 მილიონი ევრო, 2019 წელს - 2.4 მილიონი ევრო, ხოლო 2020 წელს - 300 000 ევრო. ამ მაჩვენებლების გამო საფრანგეთის პრეზიდენტს პასუხების გაცემაც მოუწია. მან უარყო ბრალდებები, რომ მთავრობამ რუსეთში იარაღის ექსპორტით დაარღვია დასავლური სანქციები და განაცხადა, რომ შეიარაღების შესყიდვისა და მიწოდების გარკვეული კონტაქტები იყო შეჩერებული და რომ მათ ემბარგომდე გაფორმებული ხელშეკრულებების დასრულების ვალდებულებები ჰქონდათ. საფრანგეთის ექსპორტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსული სამხედრო ძალებისთვის, რადგან ისინი იღებენ ისეთ მნიშვნელოვან ნაწილებს, როგორებიცაა ტანკებისთვის ცეცხლის მართვის თერმოგრაფიული სისტემები და თვითმფრინავების სანავიგაციო სისტემები (Ergocun, 2022).

საფრანგეთს არც გერმანია ჩამორჩენია, რომელმაც 122 მილიონი ევროს ღირებულების აღჭურვილობა მიაწოდა რუსეთს, რაც ევროკავშირის ჯამური სამხედრო ექსპორტის 35%-ს შეადგენს. სასაქონლო ნომენკლატურა ძირითადად მოიცავდა ყინულმჭრელ გემებს, მსუბუქ იარაღსა და სპეციალური დაცვის მანქანებს. ამ მიმართულებით მესამე ადგილს იტალია იკავებს - 23 მილიონი ევროს ღირებულების ექსპორტით. ეს უმეტესად მოიცავს სახმელეთო ავტომობილებს, ნახევრად ავტომატურ იარაღსა და საბრძოლო მასალებს. მსხვილ ქვეყნებთან ერთად რუსეთში კრიტიკული მნიშვნელობის საქონლის ექსპორტს ახორციელებდა ჩეხეთი - ეს იყო საავიაციო აღჭურვილობა, უპილოტო საფრენი აპარატები, აეროძრავები და თვითმფრინავების ნაწილები, ავსტრია - ავტომატური და გლუვლიანი იარაღები, ტყვია-წამალი, სხვა სპეციალურად დამზადებული კომპონენტები, ბულგარეთი - საბრძოლო ხომალდები, სპეციალური საზღვაო აღჭურვილობა და აქსესუარები, ტექნოლოგია და საწარმოო განვითარების კომპონენტები (Brillaud, Curic, Maggiore, Minano, Schmidt, 2022). ამ თვალსაზრისით, სხვა ქვეყნების წილი გაცილებით ნაკლებია, თუმცა, არა - ნულოვანი. ამგვარად, ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ მაშინდელ სანქციებს რუსეთისთვის ხელი არ შეუშლია და ამაში ევროპასაც თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს. მაგრამ ამ ეტაპზე მოცემულობა რადიკალურად განსხვავებულია და მსგავსი სცენარის განხორციელება ნაკლებად სავარაუდოა.

„მეგობრული ქვეყნების“ როლი რუსული შეიარაღების რეალიზაციაში

რუსეთის ფედერაციას მსოფლიო მასშტაბით ჰყავს პარტნიორები, რომლებიც, ერთი მხრივ, იზიარებენ მის აგრესიულ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, მასზე იმდენად არიან დამოკიდებული, რომ სხვა გზა უბრალოდ არ აქვთ. ერთ-ერთი ასეთი სფეროა სამხედრო შეიარაღება, სადაც რუსეთს აქვს სხვადასხვა სახელმწიფოზე ზემოქმედების მძლავრი პოლიტიკური ბერკეტი. არსებობენ ქვეყნები, რომელთაგან სამხედრო შესყიდვებს უმეტესწილად რუსეთი ახორციელებს და, შესაბამისად, ამ არხის შეჩერება მათთვის საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ნიშნავს. ძირითადად, ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება აფრიკისა და აზიის ქვეყნები, თუმცა მათგან რამდენიმეს გამოყოფა შეგვიძლია.

ცნობისთვის, წარსულში რუსეთი აქტიურად ავსებდა სივრცეებს, გაჩენილს დასავლეთის ქვეყნების მიერ რიგი სახელმწიფოებისთვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების შეჩერებით. მაგალითად, ასე მოხდა 2013 წელს, როდესაც შეერთებულმა შტატებმა ეგვიპტეს იქ მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო შეუწყვიტა სამხედრო დახმარება და იარაღის მიწოდება. მაშინ მიწოდების პროცესი გადაიბარეს რუსეთმა და საფრანგეთმა. იგივე მოხდა 2014 წელს, როდესაც შეერთებულმა შტატებმა გააუქმა კონტრაქტი ნიგერიასთან მოიერიშე შვეულმფრენებზე, იქ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. ამის შემდეგ რუსეთმა დაიწყო ნიგერიისთვის Mi-35M გამანადგურებელი შვეულმფრენების მიწოდება. ამჯერად შესაძლოა თავად რუსეთი აღმოჩნდეს თამაშგარე პოზიციაში (Kondratenko, 2020).

აფრიკის ქვეყნები

აფრიკის კონტინენტი მოსკოვის შეიარაღების ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველია. იგი საკუთარი სამხედრო ტექნიკის 49%-ს სწორედ რუსეთისგან ყიდულობს. მათ შორისაა მძიმე შეიარაღება, საბრძოლო ტანკები, საბრძოლო ხომალდები, მოიერიშე თვითმფრინავები და შვეულმფრენები და მცირე ზომის იარაღები, მაგალითად, როგორიცაა ახალი AK-200 სერიის შაშხანა. შედარებისთვის, ჩინეთს აფრიკაში შეიარაღების იმპორტის 13%-იანი წილი უჭირავს. ამ კონტინენტზე რუსული შეიარაღების ყველაზე მსხვილი და სტაბილური მყიდველები არიან: ალჟირი, ეგვიპტე, სუდანი, ანგოლა, ბურკინა-ფასო, ეთიოპია, მაროკო და უგანდა. ამ მხრივ, ეგვიპტე და ალჟირი მსოფლიოს უმსხვილესი სამხედრო საქონლის იმპორტიორების სიის ათეულში არიან. ეგვიპტეზე მოდის მსოფლიოში იარაღის იმპორტის 5,8%, ხოლო ალჟირზე - 4,3%. აფრიკაში რუსეთი, იარაღის ოთხ უმსხვილეს ექსპორტიორთან ერთად - აშშ, საფრანგეთი, გერმანია და ჩინეთი - 2016-20 წლებში იარაღის ძირითადი იმპორტის 76%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, გაზრდილია შემსყიდველი ქვეყნების რაოდენობაც. მაგალითად, თუ 2000-იან წლებში 16 აფრიკული ქვეყანა ყიდულობდა რუსულ შეიარაღებას, ამჟამად მათი რიცხვი 21-ია (Khanyile, 2022).

რუსეთმა განაახლა თავისი ისტორიული კავშირები აფრიკის ბევრ ქვეყანასთან, რომელიც ამ კონტინენტზე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში დაამყარა. ცხადია, რუსეთისთვის შექმნილი დაბრკოლებები აფრიკის სახელმწიფოების შეიარაღებასა და თავდაცვისუნარიანობაზე მოახდენს გავლენას. არსებული რისკები უკავშირდება ძირითადი სათადარიგო ნაწილების მიწოდების შეფერხებას, თავდაცვის ძალების ოპერაციული და სასწავლო გეგმების დარღვევას, რადგან რუსულ აღჭურვილობას იყენებენ, ასევე - ამ ქვეყნებში უკვე არსებული აღჭურვილობის შენახვის მაღალ ღირებულებას. მეორე მხრივ, არსებული ვითარება იძლევა შესაძლებლობას ამ ქვეყნებმა მოახდინონ როგორც მიმწოდებლების დივერსიფიცირება, ასევე იზრუნონ საკუთარი წარმოების განვითარებაზე, წარმოქმნილი დანაკლისების შესავსებად.

დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს რამდენიმე პრაქტიკული გავლენა აქვს აფრიკის ქვეყნების თავდაცვის ინდუსტრიაზე. პირველ რიგში, რთული და ზოგჯერ შეუძლებელი იქნება უკვე გაფორმებული შეკვეთების მიღება. მეორე მხრივ, გართულდება გამოყენებაში უკვე არსებული რუსული წარმოების მძიმე ტექნიკისა და იარაღის შეკეთება, შენარჩუნება ან კაპიტალური რესტავრაცია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება აუცილებელი სათადარიგო ნაწილების, ხელსაწყოებისა და სერტიფიკატების მიწოდება. ამასთან ერთად, ორივე მხარეს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებები, მათ შორის - ფინანსური. გლობალური ფინანსური სისტემიდან რუსეთის იზოლაციის გამო ეს პროცესიც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს. უფრო მეტიც, რუსეთში წარმოქმნილი პრობლემების შედეგად გაჩენილი სიცარიელე უნდა შეავსონ ალტერნატიულმა მიმწოდებლებმა. აფრიკის ქვეყნებს მოუწევთ თავდაცვის ინდუსტრიის მომარაგების პოტენციური პარტნიორების მოძიება, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ტექნიკური, სარემონტო და კაპიტალური რესტავრაციის ოპერაციები მათ ხელში არსებულ აპარატურაზე. ასევე უნდა შეძლონ მათთვის დამატებითი ტექნიკისა და იარაღის მიწოდება (Khanyile, 2022).

რუსეთის ინტერესები აფრიკაში გამოწვეულია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებითაც. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში რუსეთი ჩართულია ისეთი მნიშვნელოვანი რესურსების მოპოვებაში, როგორებიცაა კოლტანი, კობალტი, ოქრო და ბრილიანტი. 2019 წელს რუსეთმა უმასპინძლა ისტორიაში პირველ რუსულ-აფრიკულ სამიტს, სადაც პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ აფრიკის ქვეყნებთან კავშირების გაძლიერება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ სამიტის საკვანძო ნაწილი იყო რუსული წარმოების შეიარაღების გამოფენა. სამიტზე კარგად გამოჩნდა, რომ რუსეთი ორიენტირებულია არა იმდენად ახალ ტექნოლოგიებზე, რამდენადაც უკვე არსებული ტექნიკის გაუმჯობესებაზე. ამასთან ერთად, მისი შეიარაღება სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომია, რაც აფრიკის ქვეყნებისთვის მას დამატებით მიმზიდველობას ჰმატებს (Kondratenko, 2020).

ინდოეთი

ინდოეთი მსოფლიოში სამხედრო შეიარაღების ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველია. მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა აქტიური კავშირები რუსეთთან. ინდოეთი საკუთარი სამხედრო აღჭურვილობის 50%-ზე მეტს სწორედ რუსეთისგან ყიდულობს. რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო და 80%-საც აღწევდა, თუმცა ბოლო ათწლეულია ინდოეთმა საკუთარი შეიარაღების მიმწოდებლების დივერსიფიცირება დაიწყო. მან გაზარდა შესყიდვები საფრანგეთიდან, ისრაელიდან და ამერიკიდან. მაგალითად, „სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყნებიდან შესყიდული იარაღის რაოდენობა გაორმაგებულია, თუმცა რუსეთი მისთვის ჯერჯერობით ნომერ პირველ მიმწოდებლად რჩება (SIPRI, 2021).

ინდოეთს ღიად არ გაუკრიტიკებია რუსეთი და არ დაუგმია მისი ქმედებები უკრაინაში შეჭრის გამო, რის უკანაც შესაძლოა სწორედ ეს მაღალი სამხედრო დამოკიდებულება იდგეს. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის შემდეგ რუსეთმა რიგ შემთხვევებში სრულად ვერ შეასრულა მისთვის ნაკისრი ვალდებულებები, ინდოეთისთვის იგი მაინც მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება. მაგალითად, ინდოეთმა 2018 წელს რუსეთისგან შეიძინა S-400 ტიპის სარაკეტო სისტემა, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ არ მიუღია. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მოსკოვს ჰქონდა და აქვს ძირითადი საწარმოო კომპონენტების პრობლემა. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო ზარალი უკრაინაში შეჭრის შემდეგ, შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს ინდოეთის მოთხოვნილებებს, რადგან მთელი რესურსი საკუთარი ძალების აღსადგენად ექნება მიმართული. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ინდოეთის არმიას გაუჭირდება ეფექტიანი მოქმედებები რუსეთის მიერ მიწოდებული აღჭურვილობის გარეშე და მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში კვლავაც შეიარაღების რუსულ სისტემებზე იქნება დამოკიდებული, ცხადია, თუ რუსეთი თავად გამოძებნის ამის რესურსს. ამ კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ინდოელმა სამხედროებმა იციან რუსული წარმოების ტექნიკის გამოყენება, სხვა შემთხვევაში კი, გადამზადებისა და ტესტირებისთვის დამატებითი ხარჯები დასჭირდებათ (Menon, 2022).

ამ ეტაპზე ინდოეთი სტრატეგიული დილემის წინაშე დგას - დარჩეს რუსეთზე დამოკიდებული, მოახდინოს ბაზრების დივერსიფიცირება ან განავითაროს შიდა წარმოება. ცხადია, ეს ნაბიჯები ერთმანეთს არ გამორიცხავს. ამრიგად, მოკლევადიან პერსპექტივაში ინდოეთმა შეიძლება გამოიყენოს კომბინაციური პოლიტიკა დაბალი კლასის აღჭურვილობის მიმწოდებლების ჩასანაცვლებლად და სათადარიგო ნაწილების ახალი მიმწოდებლების მოსაძებნად, რათა შეამციროს თავისი უშუალო დამოკიდებულება რუსეთზე. ინდოეთს შეუძლია რუსული წარმოების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და ადგილობრივად მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ის უკვე აწარმოებს უამრავ რუსულ იარაღს, შესაბამისი ლიცენზიით, დაინტერესებულია თავდაცვის შიდა წარმოების გაძლიერებით და შეუძლია მისი ექსპორტი რუსეთის სხვა მომხმარებლებზე, რომლებსაც მსგავსი დეფიციტი აქვთ. საგულისხმოა ისიც, რომ ამერიკა-ინდოეთის ურთიერთობები ბოლო წლებში უფრო და უფრო ვითარდება.

ჩინეთის რეგიონული დომინაციის დონზე ამერიკისთვის ინდოეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს და, შესაბამისად, მომდევნო წლებში სამხედრო კუთხით ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაც არაა გამორიცხული (Benerjee, Trach, 2022).

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები

რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ბრუნეი, მიანმარი, კამბოჯა, ტიმორ-ლესტე, ინდონეზია, ლაოსი, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი და ვიეტნამი) სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ექსპორტის თვალსაზრისით უმსხვილესი ქვეყანაა, თუმცა 2014 წლის შემდეგ მისი გაყიდვები მნიშვნელოვნად დაეცა. 2000 წლებიდან მოყოლებული რუსეთმა ამ რეგიონში 11 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა გაყიდა. მისი ყველაზე მსხვილი შემსყიდველები არიან: ვიეტნამი, მიანმარი, მალაიზია და ინდონეზია. რუსეთი მათ ტექნიკის ფართო არჩევანსა და დასავლეთში წარმოებულ აღჭურვილობაზე გაცილებით დაბალ ფასს სთავაზობს. გარდა ამისა, რუსული მხარე მზადაა გადასახადი ნაწილობრივ მიიღოს რეგიონში წარმოებულ საქონელში, განახორციელონ ერთობლივი წარმოებები და ასევე, ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთი არც ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ითვალისწინებს (Storey, 2022).

2014 წლის შემდეგ რუსეთის გაყიდვები ამ რეგიონში შესამჩნევად შემცირდა, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთს დასავლეთმა სანქციები დაუწესა, ასევე დაწესდა საექსპორტო კონტროლი რუსულ თავდაცვით სექტორზე. გარდა ამისა, ვიეტნამმა შეაჩერა საკუთარი სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამა, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო მოსკოვის მხრიდან შეკვეთების მიწოდების შეფერხებით. ამასთან, 2017 წელს მიღებული კანონი საშუალებას აძლევს აშშ-ის მთავრობას, დააწესოს სანქციები ფიზიკური პირების ან ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც აქვთ კომერციული ურთიერთობა რუსეთის სამხედრო სექტორთან. დაბოლოს, რუსეთს, შექმნილ პრობლემებთან ერთად, გაუჩნდა მზარდი კონკურენცია როგორც ამერიკული და ევროპული თავდაცვის კორპორაციებისგან, ისე აზიური გიგანტებისგან, როგორებიც არიან ჩინეთი და სამხრეთი კორეა (Storey, 2022).

უკრაინაში მიმდინარე ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში რუსული წარმოების იარაღის გაყიდვების შემცირებაა ნავარაუდევი. ამას გამოიწვევს, ერთი მხრივ, დასავლური სანქციები და ექსპორტის კონტროლი, ხოლო, მეორე მხრივ, რუსული შეიარაღების ხარისხი, რომელიც ომის დროს კარგად გამოჩნდა. უფრო მეტიც, მსოფლიოში ჩიპების უმსხვილესმა მწარმოებელმა, რომელიც ტაივანში მდებარეობს, შეაჩერა რუსეთში გაყიდვები. დასავლურ სანქციებს შეუერთდნენ აზიის მოწინავე ინდუსტრიული ეკონომიკები, მათ შორის: იაპონია, სამხრეთი კორეა და სინგაპური. ცხადია, ამას ექნება უარყოფითი ეფექტი ამ რეგიონში რუსეთის გაყიდვებზე.

ჩინეთი

ჩინეთი რუსეთისთვის რიგით მეორე უმსხვილესი იარაღის იმპორტიორი სახელმწიფოა. 2016-2020 წლებში რუსული იარაღის 18%-ის ექსპორტი სწორედ ჩინეთში ხორციელდებოდა. მოსკოვის შეიარაღება ამ უკანასკნელის სამხედრო და თავდაცვის ინდუსტრიის განვითარებისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. რუსულმა ექსპორტმა პიკს მიაღწია 2000-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც ჩინეთი თავისი სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზებისას სრულად დაეყრდნო რუსულ სისტემებსა და ტექნოლოგიებს. ამ პერიოდში რუსეთი ჩინეთს აწვდიდა ავიაგამანადგურებლებს, სხვადასხვა კლასის რაკეტებს, სარადარო სისტემებს, ვერტმფრენებსა და წყალქვეშა ნავებს. ეს სისტემები იყო შედარებით ძველი და რუსული ექსპორტი არ მოიცავდა უფრო მოწინავე ტექნოლოგიებს. მიუხედავად ამისა, ჩინეთს მოსკოვის შეიარაღება განსაკუთრებით დაეხმარა საზღვაო ფლოტისა და საჰაერო ძალების განვითარებაში. შემდგომ კი საკუთარი წარმოების ნაწილი სწორედ რუსულ დიზაინსა და ტექნოლოგიას დააფუძნა.

2012 წელს ჩინეთი და რუსეთი სამხედრო თანამშრომლობის გაზრდაზე შეთანხმდნენ, რაც ასევე მოიცავდა იარაღით ვაჭრობას. 2015 წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის შეიარაღების გაყიდვები მკვეთრად გაიზარდა. რუსეთმა და ჩინეთმა 2017 წელს ხელი მოაწერეს სამხედრო თანამშრომლობის საგზაო რუკას, ხოლო 2021 წელს ერთობლივად ჩატარებულმა სამხედრო წვრთნებმა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი გაზრდილ თანამშრომლობას. ბოლო დროს რუსული გაყიდვები ჩინეთში მოიცავს შედარებით მცირე რაოდენობის, თუმცა მოწინავე სამხედრო სისტემების ექსპორტს. თითოეული ქვეყანა ერთმანეთთან ძირითადი საწარმოო კომპონენტებითაც ვაჭ-რობს. მაგალითად, რუსეთი ეყრდნობა ჩინეთს ჩარხებისა და ელექტრონული კომპონენტების ნაწილში, ხოლო ჩინეთი დამოკიდებულია რუსეთზე უფრო მძიმე ტექნიკით, როგორიცაა ავიაგამანადგურებლები, საჰაერო თავდაცვის სისტემები, რაკეტები, წყალქვეშა ტექნოლოგიები და ვერტმფრენები. ამ მხრივ, ჩინეთის ინტერესია ტექნოლოგიებსა და გამოცდილებაზე წვდომის მოპოვება, რომელთა წარმოებასა და ტესტირებასაც იგი შიდა დონეზე ცდილობს. აქედან გამომდინარე, იმ ფონზე, როდესაც ჩინეთის თავდაცვის ინდუსტრია სწრაფი ტემპებით აგრძელებს განვითარებას, სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის ტექნოლოგიური უპირატესობა ჩინეთთან მიმართებით შესუსტდება, რაც, თავის მხრივ, ორ ქვეყანას შორის შეცვლის თავდაცვის თანამშრომლობის ბუნებას და მეტად ორიენტირებული იქნება ერთობლივ სამხედრო პროფესიულ განვითარებაზე, თავდაცვის სერვისების სრულყოფასა და ტექნოლოგიების გადაცემაზე (CRS 2021).

სამხედრო კონტექსტში ჩინეთი რუსეთისთვის რამდენიმე კუთხითაა მნიშვ-ნელოვანი და საყურადღებო. პირველ რიგში, სავარაუდოდ, რუსეთი ელოდება ჩინეთისგან მხარდაჭერას წარმოებისა და კომპონენტების მიწოდების ნაწილში, თუმცა, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ამ კუთხით რაიმე ხელშესახები შედეგები არ ჩანს. დიდი ალბათობით, ომის შემდეგ ეს პროცესი უფრო მკაფიო და აქტუალური გახდება. უფრო მეტიც - მიმდინარე წლის მაისის ბოლოს აღნიშნულმა ქვეყნებმა მოსკოვის უკრაინაში შეჭრის შემდეგ პირველი ერთობლივი წვრთნაც ჩაატარეს.

ეს სამხედრო აქტივობა იყო მნიშვნელოვანი ნიშანი იმისა, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის პარტნიორობა არ შესუსტებულა მაშინაც კი, როდესაც უკრაინაში ოთხთვიანმა ომმა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. მოსკოვის ეს ნაბიჯი შესაძლოა წარმოაჩენდეს სამომავლო პარტნიორობის გაღრმავების მცდელობას და ნიშანს იმისა, რომ რუსეთს აქვს და ექნება ჩინეთის იმედი, თავისთვის მძიმე მომენტებშიც კი. ცხადია, თავის მხრივ, ჩინეთი შეეცდება რუსეთისთვის გარკვეული კრიტიკული საწარმოო საშუალებების სანაცვლოდ მიიღოს ცალკეული უპირატესობები, როგორებიცაა ენერგეტიკულ რესურსებზე ფასდაკლება და სამხედრო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა. მეორე მხრივ, თუ რუსეთი რადიკალურად შეამცირებს გაყიდვებს აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, რისი მკაფიო ნიშნებიც უკვე აშკარაა, აქ ჩნდება სივრცე ჩინეთისთვის ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლოს რუსული შეიარაღება. ეს კი მოსკოვს დამატებით სადარდებელს უჩენს, რადგან იზრდება წლების მანძილზე ნაშენები პარტნიორობის დაკარგვის საფრთხე და მცირდება ალბათობა, რომ ძალების აღდგენის შემთხვევაშიც კი მოხერხდეს ამ ბაზრებზე დაბრუნება.

* * *

დასავლური სანქციები გაურთულებს თავდაცვის სფეროში მომუშავე რუსულ კომპანიებს უცხოელი მომხმარებლებისგან მიიღონ გადახდილი თანხები, ხოლო ექსპორტის კონტროლი მკვეთრად შეზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებზე. სავარაუდოდ, რუსეთის სამხედრო ინდუსტრია ეცდება გამოსავლის პოვნას, მათ შორის, თანამშრომლობის გაღრმავებას თავდაცვითი აღჭურვილობის მწარმოებელ კომპანიებთან იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ დაუწესებიათ სანქციები და ექსპორტის კონტროლი რუსეთზე, მაგალითად, ჩინეთსა და ინდოეთში. არსებულ რთულ ვითარებაში, ცხადია, რუსეთს აქვს თავისი მეგობარი ქვეყნების იმედი, თუმცა პარტნიორი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებიდან და ახალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ საკითხავია, რამდენად გაამართლებენ ეს ქვეყნები რუსეთის მოლოდინს. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთში არსებული პრობლემები ახალ საბაზრო შესაძლებლობებს გაუხსნის სამხედრო შეიარაღების მწარმოებელ კომპანიებს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ისრაელი, თურქეთი, ჩინეთი, სამხრეთი კორეა, ასევე - ევროპას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში წარმოქმნილი წარმოების შეფერხებები უარყოფითად აისახება მის მომხმარებელ ქვეყნებზეც, მათთვის ეს შედარებით მარტივი გადასალახი იქნება, ვიდრე თავად მოსკოვისთვის, რომელსაც რამდენიმე საბაზრო ფრონტზე მოუწევს ბრძოლა.

დასკვნა

დასავლურმა სანქციებმა რუსეთში, სხვა ბევრ სექტორთან ერთად, სამხედრო და თავდაცვის ინდუსტრიასაც უდიდესი დარტყმა მიაყენა, რაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში სულ უფრო თვალსაჩინო გახდება. ზოგადად, პრაქტიკულად შეუძლებელია შეზღუდვებს მოკლევადიან პერიოდში ჰქონდეთ რაიმე ხელშესახები

ეფექტი. ფაქტია, რომ ჯერჯერობით დასავლეთის მკაცრ პასუხს მოსკოვის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მოჰყოლია, რომელიც ომის დასრულებაში უნდა აისახოს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ეტაპზე რუსეთს აქვს სახსრები ომის საწარმოებლად, რომლის ძირითადი წყაროა მისი ენერგეტიკული პროდუქტებისა და მარცვლეულის ექსპორტი, რითაც იგი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს იკავებს. ომის შედეგად გაზრდილია ნავთობპროდუქტების ფასები, რაც რუსეთისთვის დამატებით შემოსავალს ნიშნავს.

სანქციების შედეგები უფრო ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც ომი დასრულდება და რუსეთი საკუთარი სამხედრო მარაგების შევსებას მოინდომებს. ეს პროცესი იქნება საკმაოდ რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. ერთი მხრივ, ამას განაპირობებს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება და საბიუჯეტო შემოსავლების წყაროების კლება, ხოლო მეორე მხრივ - მოსკოვის შეზღუდული წვდომა როგორც დასავლეთის, ასევე აზიის წამყვანი სახელმწიფოების ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებზე. ელექტრონული კომპონენტების დეფიციტი კი ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში იწვევს წარმოების შეფერხებებს, სარეცხის მანქანებიდან დაწყებული, სარაკეტო სისტემებით დამთავრებული. უფრო მეტიც, ამ პროცესზე გავლენას მოახდენს საერთაშორისო თანამეგობრობის მომდევნო გადაწყვეტილებებიც, რომლებიც მიზნად ისახავს რუსეთის ფინანსურ და ენერგეტიკულ სექტორებზე უფრო მძლავრ დარტყმებს.

მოსკოვის მკვეთრად დაქვეითებული უნარი, აღადგინოს საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, გავლენას იქონიებს ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გარდა მისი ტექნიკური იზოლაციისა, უდიდესი რეპუტაციული ზიანი მიადგა მის ტექნიკასა და აღჭურვილობას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გაყიდვებზე. ეს, თავის მხრივ, რუსეთისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების დაკარგვას ნიშნავს. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის სამხედრო მანქანამ უზარმაზარი და ძვირადღირებული დარტყმა მიიღო. ექსპერტების ვარაუდით, რუსეთს სამხედრო შეიარაღების ომამდელ დონემდე აღსადგენად შესაძლოა ორი ათეული წელი დასჭირდეს. ეს განპირობებული იქნება როგორც სანქციებით, ასევე ინოვაციების, კვლევისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობით, ტვინების გადინებით, კორუფციითა და თავდაცვის კომპანიების დავალიანებით. უკრაინაში მიღებული მძიმე შედეგებისა და ნატოსთან დაძაბულობის მკვეთრი ზრდის ფონზე, სავარაუდოა, რომ მოსკოვი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდასაც მოინდომებს და მზად იქნება სხვა მიმართულებებისთვის თანხების დაკლების ხარჯზე აღიდგინოს დაკარგული ძალები და რეპუტაცია, თუმცა ამის განხორციელება საკმაოდ ბევრ კითხვას აჩენს.

დღევანდელი მოცემულობა თუ გაგრძელდება, ანუ თუ დასავლეთი მტკიცედ დადგება საკუთარი ღირებულებების დასაცავად და მისი დაწესებული სანქციები ძალაში დარჩება, გარდაუვალი იქნება უახლოეს წლებში რუსეთის თავდაცვის წარმოების შემცირება. ცხადია, ეს იმოქმედებს სამხედრო საწარმოებზე, რაც, თავის მხრივ, გაზრდის უმუშევრობის დონეს, შეამცირებს ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტსა და არათუ მოხდება რუსული შეიარაღების ახალ მომხმარებლებზე გასვლა, არამედ უკვე არსებული სავაჭრო კონტრაქტების შესრულებაც ეჭვქვეშ

დადგება. ამგვარად, ფაქტია, რომ რუსეთი უკვე დგას უმძიმესი მოცემულობის წინაშე, რაც უახლოეს მომავალში სულ უფრო თვალსაჩინო გახდება. ომის დასრულების შემდეგ მას რამდენიმე მიმართულებით მოუწევს უკიდურესად რთული ბრძოლა და სწორედ მაშინ იგრძნობს ყველაზე მკაფიოდ საკუთარი აგრესიის უაღრესად მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. World Bank. 2020. "Military Expenditure of Russian Federation". Retrieved from: https://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS?locations=RU
2. Karpukhin S. 2019. "Import Substitution in Russias Defense Industry Remains a Problem, Says Top Prosecutor". Russian News Agency. Retrieved from: https://tass.com/defense/1070976
3. Banerjee V., Tkach B. 2022. "After Ukraine, where will India Buy its Weapons?". Warontherocks. Retrieved from: https://warontherocks.com/2022/04/after-ukraine-where-will-india-buy-its-weapons/
4. Ringhof J. 2022. "How Technology Sanctions Can Help Counter the Threat from Russia". European Council on Foreign Relations. Retrieved from https://ecfr.eu/article/give-and-tech-how-technology-sanctions-can-help-counter-the-threat-from-russia/
5. Detsch J. 2022. "Western Sanctions are 'Beginning to Bite' Into Russia's Military". Foreign Policy Journal. Retrieved from: https://foreignpolicy.com/2022/05/12/western-sanctions-are-beginning-to-bite-into-russias-military/
6. SIPRI Yearbook 2021. Stockholm International Piece Research Institute. Retrieved from: https://www.sipri.org/yearbook/2021
7. Congressional Research Service. 2021. "Russian Arms Sales and Defence Industry". Retrieved from: https://crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46937
8. Kasapoglu C. 2022. "The Russia Defense Industry: A Distressed Brand". Hudson Institute. Retrieved from: https://www.hudson.org/research/17754-the-russian-defense-industry-a-distressed-brand
9. Atlantic Council. 2022. "Russia Crisis Military Assessment: Russia is Forced to Make a Major Shift in Strategy". Retrieved from: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/russia-crisis-military-assessment-russia-is-forced-to-make-a-major-shift-in-strategy/
10. Al Jazeera. 2022. "Infographic: Which Countries Buy the Most Russian Weapons". Retrieved from: https://www.aljazeera.com/news/2022/3/9/infographic-which-countries-buy-the-most-russian-weapons
11. Wilkie Ch. 2022. "U.S. Sanctions Global Network of Firms Helping the Russian Military Evade Export Controls". CNBC. Retrieved from: https://www.cnbc.com/2022/03/31/us-sanctions-a-global-network-helping-russian-military-evade-export-controls-.html
12. U.S. Department of The Treasury. 2022. "U.S. Treasury Sanctions Russia's Defense-Industrial Base, the Russian Duma and its Members, and Sberbank CEO". Retrieved from: https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0677
13. Grzegorczyk M., Marcus J., Poitiers N., Weil p. 2022. "The Decoupling of Russia: High-Tech Goods and Components". Bruegel. Retrieved from: https://www.bruegel.org/2022/03/the-decoupling-of-russia-high-tech-goods-and-components/

14. Ergocun G. 2022. “EU Countries Export Arms to Russia Despite Embargo During 2015-2020”. Anadolu Agency. Retrieved from: https://www.aa.com.tr/en/economy/eu-countries-export-arms-to-russia-despite-embargo-during-2015-2020/2543490

15. Brillaud L., Curic A., Maggiore M., Minano L., Schmidt N. 2022. “EU Member States Exported Weapons to Russia after the 2014 Embargo”. Investigate Europe. Retrieved from: https://www.investigate-europe.eu/en/2022/eu-states-exported-weapons-to-russia/

16. Kondratenko T. 2020. “Russian Arms Export to Africa: Moscow’s Long-Term Strategy”. Deutsche Welle. Retrieved from: https://www.dw.com/en/russian-arms-exports-to-africa-moscows-long-term-strategy/a-53596471

17. Khanyile M. 2022. “Sanctions Against Russia will Affect Arms Sales to Africa: The Risks and Opportunities”. The Conversation. Retrieved from: https://theconversation.com/sanctions-against-russia-will-affect-arms-sales-to-africa-the-risks-and-opportunities-180038

18. Menon Sh. 2022. “Ukraine Crisis: Could India Cut its Defense Ties with Russia?”. BBC. Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-asia-india-61274042

19. Storey I. 2022. “The Rusia-Ukraine War and its Pitential Impact on Russia’s Arms Sales to Southeast Asia”. Yusof Ishak Institute. Retrieved from: https://www.iseas.edu.sg/articles-commentaries/iseas-perspective/2022-47-the-russia-ukraine-war-and-its-potential-impact-on-russias-arms-sales-to-southeast-asia-by-ian-storey/

20. Trevelyan M., Gronholt-Pedersen J. 2022. “Analysis: Even with Sanctions, Russia Can Afford to Feed its War Machine”. Reuters. Retrieved from: https://www.reuters.com/world/europe/even-with-sanctions-russia-can-afford-feed-its-war-machine-2022-04-12/